

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები და მათი გავლენა
საქართველოს ეკონომიკაზე

ანა აივაზიშვილი
თეონა მოგელაძე
თათია ზარქუა

ჯგუფი #33

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: ირაკლი ღვალაძე

მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის თემად ავირჩიეთ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. განვიხილეთ ქართული და უცხოური ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები, გავანალიზეთ სტატისტიკური მონაცემები ხუთი მთავარი ექსპორტიორი ქვეყნის მაგალითზე. ასევე, განვიხილეთ ფალსიფიკაციის პრობლემები და უცხო ქვეყნების მაგალითები საქართველოსთან მიმართებაში. ვთვლით, რომ მოცემული საკითხები მნიშვნელოვანია, როგორც ქართველი მეწარმეების საქმიანობისთვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. თემის არჩევის მიზანს წარმოადგენდა, ჩვენი აზრის დაფიქსირება მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ დარგის განვითარებას.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩვენ გამოვიყენეთ მეორადი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც დავამუშავეთ რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები. მონაცემების დამუშავების შედეგად დავინახეთ თუ, როგორ იცვლებოდა წლიდან წლამდე ქართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან შეინიშნებოდა ღვინის ექსპორტის ზრდა, თუმცა 2015 წლის მონაცემებით, მოხდა ექსპორტის 59%-ით შემცირება 2014 წელთან შედარებით, ხოლო 2016 წელს ექსპორტი 37%-ით გაიზარდა 2015 წელთან შედარებით. ქართული ღვინის კომპანიის ხელმძღვანელებთან ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ, რის შედეგადაც გამოვლინდა ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც მეწარმეები ღვინის წარმოების პროცესში აწყდებიან, მათ შორის ფალსიფიკაციის პრობლემებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად კი საჭიროა სახელმწიფოს, მეწარმეების და ადგილობრივი მოსახლეობის ერთობლივი მუშაობა. ასევე, მნიშვნელოვანია კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“ ცვლილების შეტანა, რომელიც აკრძალავს ექსპორტზე ჩამოსასხმელი ღვინის გატანას.

საკვანძო სიტყვები: ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები, ღვინის ფალსიფიკაცია, კანონპროექტი, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონი, სტატისტიკური მონაცემები.

Abstract

We have chosen the subject of the Masters Degree to be : "Wines with denomination of origin and its impact on the local economy". Georgian wines and other appellations of origin was discussed by us, we have analyzed statistical data in five main exporting countries, also discussed the problems of falsification and foreign countries' attitude in relation to Georgia. We believe that these issues are important for the activities of Georgian entrepreneurs and the development of the country's economy. The aim of choosing this topic was to state our opinion on the issues and to find ways to solve the problem, which could contribute to the development of this sector. In the process of working on the subject, we have used the secondary information, on which we have worked and got quantified and qualitative data. As a result of data processing, we saw how the export of Georgian wine in different countries of the world changes from year to year. It is noteworthy that the export of wine has been observed since 2013, but by 2015, decrease in exports was 59% compared with 2014, and in 2016 the growth was 37% in comparison with 2015. As a result of conducting deep interview with the Georgian wine company's heads, the main problems were revealed, that the entrepreneurs meet in the process of wine production, including falsification problems. In order to solve this problem, entrepreneurs and the local population should work together . It is also important to introduce amendments to the law on "Vine and Wine" , which prohibits the export of non-bottle wine.

Keywords: denomination of origin wines, wine falsification, draft law, "Vine and Wine" law, statistical data.